გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აკჴჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


**კნეინა ელისაბედ ვახვახიშვილისა, სვიმონ** და **ალექსანდრე ვახვახიშვილები, დიმიტრი ვახვახიშვილი** და **თ. რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე** მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა თვისისას, მეორენი მამისა, მესამე ძმისას, დანარჩენნი სიძისას —**თ.-დ. რევაზ ზაალის ძის ვახვახიშვილისას,** და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 20 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, მიცვალებულის გამოსასვენებლად ივანენკოს სახლიდგან, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე, კალოუბნის ეკკლესიაში. პანაშვიდები 1 და 7 საათზედ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი წიგნები:

1) „ვინ“ **პაწაწა მინერალოგია** 44 გვ. 20 ნახატით—ფასი 3 შაური

2) „ზენ“ **პაწაწა ბოტანიკა** 56 გვ. 70 ნახატით—ფასი 1 აბაზი

3) „თან“ **პაწაწა ზოოლოგია** 64 გვ. 98 ნახატით—ფასი 1 აბაზი

ისყიდება აგრედვე ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში პირველი ხუთი წიგნი აღნიაშვილის „ახალ ანბანისა“:

1) „ან“ წერა-კითხვა . . 2 შაური
2) „ბან“ წვრილი ხალხური ლექსები. . . . 2 შაური
3) „გან“ წვრილი ხალხური ამბები. . . . . 2 შაური
4) „დონ“ წვრილი ხალხური ამბებივე . . . 2 შაური
5) „ენ“ გასართობი . . 2 შაური

(3—1)

---

ტფილისის ქალაქის მოურავი აცნობებს ყველას, რომ 19 მაისიდგან ქალაქის გამგეობა მიიღებს შემოწირულებას 13 მაისის წყალდიდობით დაზარალებულ ღარიბთა სასარგებლოდ. (3—1)

---

„ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის კრება დანიშნულია შაფათს, 22 მაისს, ნაცვლად 15 მაისის არ შემდგარ კრებისა. ეს უკანასკნელი კრება უეჭველად შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველი საგნები იგივეა. კრება იქმნება ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 7 საათზე.

---

## ჩვენი ახალგაზდობა

—

ყოველ გაზაფხულს მშობელნი და ნათესავნი მოწაფეთა ერთის შიშითა და გულის კანკალით მოელიან ეგზამენების დასრულებას ჩვენს სკოლებში. ამ ეგზამენებზედ დამოკიდებულია ახალგაზდობის ბედი, მისი მშობლების მდგომარეობა, ოჯახი, მტერი და მოყვარე. ეგზამენები ამ ჟამად უმწვერვალესი „პსიხოლოგიური მომენტია“ ყველასთვის.

წინად, ბატონ-ყმობის დროს ეგზამენებს იმის მეასედი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რაც დღეს აქვს. ამიტომ, თუ ყმაწვილი სწავლაში ვერ იხეირებდა, იმას ყოველთვის დახვდებოდა ოჯახში მზა სუფრა, უზრუნველად და უშრომელად დამდგარი. მაგრამ, სულ სხვა სურათსა ვხედავთ ეხლა. დღეს ეგზამენები გადაქცეულა არსებობის საგნად, რომელზედაც აგინძულია მთელი ცხოვრება ახალის თაობისა. „ვიქნე, თუ არ ვიქნე“, აი რასა ჰნიშნავს დღეს სწავლის დასრულება!

და მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ახალგაზდობა არ აკლებს მეცადინეობას გასცუროს ის საშინელი მორევი, რომელსა ჰქვიან გიმნაზია. რასაკვირველია, დაბრკოლება ათას გვარია ამ გზაზედ, და ყველაზედ უმძიმესი და უარესი არის მშობელთა სიღარიბე. ყმაწვილებს სწავლის დროს არა აქვთ ცხოვრება ისეთ ნაირად მორთული, რომ შეეძლოთ რიგიანად განვითარება და აღზრდა.

გარდა სიღარიბისა, რომელიც უთუოდ უშლის მოსწავლეს წარმატებაში შევიდეს, მეორე დამაბრკოლებელი მიზეზიცა აქვს. ჩვენი ქართული ოჯახი არ არის ისეთ ნაირად მოწყობილი, რომ ყმაწვილმა რაიმე გონებითი სიმდიდრე შეიძინოს. სკოლა და ოჯახი, სულ სხვა-და-სხვა განკიდურებული მხარეებია. სანამდის სკოლაცა და ოჯახიც ერთსა და იმავე მიზნით არ იქნებიან გამსჭვალულნი, მანამდის ახალგაზდობის აღზდა-განათლება არ იქნება სანატრელ ნიადაგზედ დამდგარი. ეს, რასაკვირველია, სრულად საოცნებო სურვილია, და ჩვენ არცა გვაქვს იმედი, რომ მალე მოხდეს ამ გვარი შეთანხმება სკოლისა და ოჯახისა.

მანამდის-კი, ყოველის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მომეტებული [illegible]ლი კაცები გვყავდეს. მართალია, თითონ ახალგაზდობაც დიდ ენერგიას იჩენს, რომ ისწავლოს და ქვეყნის სარბიელზედ შესაფერი ალაგი დაიჭიროს. ამასთან ესეც უნდა დავსძინოთ, რომ ეხლანდელ თაობას მომეტებული ცხოვრების დაკვირება ეტყობა, ვიდრე წინანდელს. ეს ახალგაზდობა პირველ ნაბიჯიდან ცხოვრებაში შესვლისა გვიმტკიცებს, რომ იმას კარგად შეუგნია ეხლანდელის დროის სიბრძნე. იგი გასაკვირველს ხერხსა და ნიჭს იჩენს ცხოვრების ბრძოლაში. ამ მხრით ახალი თაობა მორს გასცილდა ძველს! ამათ მამებს, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდათ, ის დახელოვნებული და მიზნის მისაღწევი საშუალებანი, რომელიც შვილებმა მონახეს. ამიტომ გავრცელებულია საზოგადოებაში ის აზრი, რომ ეხლანდელ ახალგაზდობას იდეალი არა აქვს, სწავლასა და მეცნიერებას უყურებს მხოლოდ როგორც ცხოვრებისათვის სასარგებლო წყაროს და, ზოგიერთებს რომ ჰკითხოთ, ეხლანდელი დგმა არაფრად არ ღირს და არც რომელ საქვეყნო საქმეზე რამედ—არისო.

ჩვენ ეს უსამართლო ბრალდებად მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ბრალდება ახალგაზდობაზედ უღირსი ცილის წამება არის. რომელსამე მოვლინების გასაგებად, იმის ჭეშმარიტად და სამართლიანად დასაფასებლად, პირველად საჭიროა გამოიკვლიოს, შეიტყოს კაცმა ამ მოვლინების მიზეზი. მხოლოდ მაშინ, შესაძლებელი იქნება გავიგოთ ეს გარემოება რამდენად პატივსადებია და რამდენადა აქვს სრული სიმართლე.

ცხოვრების კანონს ხუმრობა არ უყვარს, იგი ულმობელია და, ათასჯერაც რომ გაჯავრდეთ და განრისხდეთ, თავის მიმდინარეობას მაინც არაფრისთვის არ შესცვლის.

იდეალების ქონა, სწავლითა, მეცნიერებითა და ხელოვნებით ოცნებობა და გატაცება, განა ახალმა თაობამ არ იცის, რომ კარგია და სასიამოვნო? მაგრამ იმისთვის საჭიროა მოცალეობა, საჭიროა უზრუნველი ლუკმა პური!

ჩვენ დროს სწავლას ღებულობდნენ შეძლებულის ოჯახის შვილები და დაბრუნებისათანავე სწავლიდან, იმათ არ სჭიროდათ სულწასულად ეძებნათ რაიმე ალაგი, რომელიც მისცემდა მათ და მათ მშობელთა ცხოვრების საშუალებას. პირველი განათლებული თაობა ამისთანა ბურჟუაზელ მოსაზრებათათვის როდი იწუხებდა თავს! «ვის არ უნდა თავი მეფედ და ცოლი დედოფლადო», ამბობს ქართული ანდაზა.

მაგრამ კიდევ განვიმეორებთ: ყველაფერი გარემოებაზედ და სასიცოცხლო პირობებზედ არის დამოკიდებული, უსამართლო განაჩენი აძრწუნებს ადამიანის სამართლიანობის გრძნობას. სამართალს მხოლოდ მაშინ აქვს ღირსება და ფასი, როდესაც იგი პირუთნელია, როდესაც პატივს სდებს და სამნიშვნელო მოტივზედ არის დაფუძნებული. ამნაირივე უსაფუძვლო საყვედური ისმის ეხლა ყოველგან ახალგაზდობის იდეალის უქონლობაზედ, და იმის გამოძიებაში ათასში ერთი არ შედის, თუ რამ გამოიწვია ეს სამწუხარო ამბავი.

ისეთი ძირითადი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ცვლილება, როგორც ჩვენში მოხდა, რასაკვირველია, მრავალს უნუგეშო სურათს გამოიწვევდა. ერთი რეფორმა მეორეზედ მეხივით და[illegible], რომ საქმეთა მიმდინარეობა არ შემდგარიყოს?!. ასეთია ყოველგან პროგრესის წესი და საშიშარი აქ არა არის-რა.

მეველე

---

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ მივიღეთ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზისაგან 100 მან., ხირსის მონასტრის წინამ-

---

# ფელეტონი

—

**გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წლის იუბილეი** (1818—1893 წ.).

რუსეთთან შეერთებამდე მრავალტანჯულს საქართველოში თითქმის ყოველ მონასტერსა და ტაძართან იყო სამრევლო სკოლები და ამას გარდა მე-XVIII საუკუნეში არსებობდა ორი სემენარია: ერთი ტფილისში და მეორე თელავში [1]). ქართლის ცხოვრება გვმოწმობს, რომ, როდესაც ერეკლე II ჩამოიყვანა რუსეთიდგან კათალიკოზი ანტონი I, მან საქართველოში გააწყო შკოლები ბაუმეისტერისა (ქართლ. ცხოვრ. ნაწ. II, გვ. 505). არ იყო მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი. 1799 წელს ბატონიშვილმა იოანემ მიართვა მეფე გიორგი XIII უქვეშევრდომილესი წინადადება, რომელშიაც სხვათა შორის განმარტებული იყო საჭიროება უმაღლესის სასწავლებლის დაარსებისა გორში. ამ სასწავლებელს უნდა ჰქონოდა ვრცელი პროგრამმა; აქ უნდა ესწავლებინათ: ლათინური, ბერძნული, ფრანგული, კატეგორია (ლოღიკა), რიტორიკა და სხვ... [2]) თუმცა ზემოხსენებული წინადადება მეფისაგან შეწყნარებული იქმნა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა სისრულეში მოეყვანა ბატონიშვილის წინადადება. [3]).

1817 წელს დაარსდა ტფილისში სასულიერო სემენარია, რომლისთვისაც საჭირო იყო სასულიერო სასწავლებლები: ტფილისს, გორსა და თელავში. ამ ნაირად 1817—1818 წლებში დააარსეს მაზრებში სასულიერო სასწავლებლები.

16 მაისს შესრულდა სწორედ სამოც-და-თხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც გორში ოფიციალურად გაიხსნა სასულიერო (სამრევლო) სასწავლებელი, თუმცა მოწაფეების მიღება დაიწყო 1817 წ. 1 ღვინობისთვიდან. 16 მაისს 1818 წელს სასულიერო სკოლის გახსნის დღესასწაულს დაესწრო ადგილობრივი სამღვდელოება და ამას გარდა პოლკოვნიკმა ბერნიკოვმა, ოლქის უფროსმა, მოიწვია გორის მაზრის თავად-აზნაურობაც. მოწვეულნი სტუმარნი შეიკრიბნენ ეხლანდელ საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ახალის სასწავლებლის სახლის წინ ორ რიგად იდგნენ მოწაფენი, რომელნიც სტუმრებს ფიანდაზად ფეხებ ქვეშ უშლიდნენ ვარდს და სხვა-და-სხვა ყვავილებს. პარაკლისი გათავდა მრავალჟამიერით. პარაკლისის შემდეგ ახალ სასწავლებლის ზედამხედველმა ნეშუმოვმა წარმოსთქვა სიტყვა და განუმარტა მსმენელთ სწავლის საჭიროება და სარგებლობა და ამასთანავე ქება შეასხა იმპერატორს ალექსანდრე I კურთხეულს, რომელიც ზრუნავდა საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. ამას შემდეგ ბ-ნი ბერნიკოვი გაუმასპინძლდა სტუმრებს და მიიწვია შინაურს სადილზედ. აქ, ჩვეულებისამებრ, წარმოითქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე I-სა, მიტროპოლიტის თეოფილაკტესი, მთავარ-მრთებლის ერმოლოვისა და იმათი, რომელნიც ემსახურებოდნენ სწავლა-განათლების საქმეს საქართველოში. ამ ნაირად გორში დაარსდა სკოლა, რომელიც 1840 წლამდე, სანამ არ გაიხსნა გორის სამოქალაქო სასწავლებელი, იყო ერთად-ერთ სასწავლებლად, რომელიც განათლების სხივებს უხვად ჰფენდა მთელს მაზრას.

1818 წელს გაიხსნა მხოლოდ პირველი კლასი, შემდეგ 1819 წელს მოემატა მეორეც. ახლად დაარსებულ სასწავლებელს მოუვიდა ტფილისის სემინარიიდგან პროგრამმები და სხელმძღვანელო ანსტრუქცია, რომელშიაც იყო განსაზღრული სასულიერო სასწავლებლის სემინარიასთან დამოკიდებულობა. თანხმად მიტროპოლიტის თეოფილაკტეს მიწერილობისა (5 ღვინ. 1818 წ. № 625), გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახად რუსის არქიმანდრიტს ნიკიფორეს უნდა ეძლია ყოველ წლივ 420 მ. ეს ფული ამ ნაირად იყო განაწილებული; ზედამხედველს (იგივე მასწავლებელი მეორე კლასისა) 225 მან.; პირველ კლასის მასწავლებელს 120 მან. დანარჩენი 75 მან. კანცელარიის და სახლის ხარჯად.

სასწავლებელს პირველ ხანებში არა ჰქონდა წოდებრივი ხასიათი. მართლმადიდებლებს გარდა, მოწაფე-

---

[1]) Акты Кавказ. Археогр. ком. т. I, стр. 533

[2]) Свѣд. о Помят. Грузин. письм. Цагарели ст. XXXVIII.

[3]) ibid გვ. IX.

ძღვრის არხიმანდრიტის ლეონიდისაგან 10 მ. და მაქ. ჩიგოგიძისაგან 1 მ. ეს ფული გადავეცით „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

*** ქალაქის საბჭოს ახლად ამორჩეულთა სია უკვე წარედგინა ტფილისის გუბერნატორს. ლანარჩენ 8 ხმოსანთა და 12 კანდიდატის არჩევანები დანიშნულ იქმნება 30 მაისს.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ფოილის ხიდის გარდა გაფუჭებულა აგრეთვე ევლახის ხიდიც. ამიტომ რკინის გზის მმართველობა სრულიად აღარ იღებს საქონელს გადასატანად არც ერთს სადგურზედ ტფილისსა და ბაქოს შუა.

ხოლო ტფილისსა და ბათუმს შუა 16 მაისს უკვე დაიწყო საქონელის მატარებლის მიმოსვლა.

*** პოლიციამ და ხურო-მოძღვარმა ლუკიანოვმა წვიმის გამო დაზიანებული სახლები დაათვალიერეს. ციხისა და ფეთხაინის პატარა ქუჩებზედ 15 სახლი ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. გადასწყვიტეს ამ სახლებიდგან მდგმურები დაითხოვონ და სახლები დააქციონ.

*** 16 მაისს რიყის ქუჩაზედ ჩამოიქცა წყალ დიდობით დაზიანებული ორ-სართულიანი სახლი მარკოზოვისა და მირზოევის სახლის ერთი კედელი.

*** გუშინ, საღამოს 9 საათზედ, რტიშჩევის ქუჩაში ეტლმა № 77 გაიტანა ერთი დედაკაცი, გვარად ასლანოვისა. მეეტლე შეიპყრეს და დედაკაცი სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ბანკის ბუღალტერი ამირაღოვი, რომელსაც გამომძიებელი და პოლიცია დაეძებდა, გუშინ წინ, ღამე, ჩამოვიდა კავკავიდგან და გუშინ დილით გამოეცხადა 7 ნაწილის პოლიციის ბოქაულს, რომელმაც მაშინვე ამირაღოვი განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს დანილოვს წარუდგინა. გამომძიებელმა ამირაღოვს ჩამოართვა ჩვენება და გაგზავნა საპატიმროში.

*** 11 მაისს სოფელ პრიუტიდგან მიდიოდა სოფელ დრეში გორის მაზრის მცხოვრებელი ალექსი აფციაური და გზაზე შემოეყარა სოფელ ლასტის-ციხის მცხოვრები ილიკო სისოური, რომელმაც ესროლა თოფი აფციაურს. აფციაურმა იქვე სული დალია. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არავინ იცის.

*** 9 მაისს სოფელ ზიმოვნიკში (ტფილ. მაზ.) ქორწილში ჩხუბი მოუვიდათ სოფელ დრეშის მცხოვრებთ პატარკაც ბეკაურს და სოფელ მოხისის მცხოვრებს გიორგი ნარიმანიძეს! ბეკაურმა ხანჯლით მოაგდებინა ნარიმანიძეს მარცხენა ფეხი.

*** ხევი (საქართველოს სამხედრო გზა): ვითომ ჩვენც იმედი გვქონდა, მალე სუსხიანი გაზაფხული გავა და წუთი-სოფელს მოვეწევით რასმეო. 12 მაისს ისეთი თოვლი მოვიდა აქეთ, რომ თქვენი მოწონებული. ისეც დაგვიანებული უფრო დავგვიანდით და უხვნელ-უთესველნი დავრჩით. ვინც მოასწრო მოხვნა და დათესვა, კიდევ კარგი და ვინც არა, ეხლა დრო აღარც-კია თითქმის. როდის უნდა შემოვიდეს ეხლა დათესილი? თოვლივე მოუსწრობს შემოდგომაზედ და თესლიც თესლად დაიკარგება, შრომაც ამაოდ ჩაივლის. თოვლი არშინზედ მეტი დასდო.

სუსხიანმა გაზაფხულმა დიდი ზარალი მისცა საქონელსაც, რომლისათვისაც შემოგვაკლდა საკვები. საქონელი გავირეკეთ კავკავისაკენ, იქნება ბალახის ძოვებით იოლად გამოვიყვანოთო, რადგან ჩვენში აპრილის გასულსაც ძლივს გაიღვიძა ბალახმა. საქონელმა ვერ აიტანა მინდვრის ბალახი და თითქმის სულ განახევრდა.

ცხვარსაც დიდი ზარალი მისცა ასეთმა ცუდმა გაზაფხულმა და უამინდობამ. ვინც შეიძლო და ერთი-ორად, ერთი-სამად ან თივა იყიდა, ან ქერი და ან კიდევ სხვა ღონისძიება იხმარა, ცხვარი გადურჩა; ვინც არა, სულ გაუნახევრდათ.

*** მანგლისი: აქეთ, მთაში, კოშკის ყელისაკენ ცხვარი უყენიათ ყ—ებს. ეს საიალაღო ადგილები ამათ იჯარით აქვთ აღებული. თ. ც—ებს, არ ვიცი რა მიზეზით და რა საბუთით, შეუკრებიათ გლეხ-კაცნი და შეიარაღებულნი დასცემიან ამ ცხვრის ბინას. მეცხვარენი ამ დროს ცხვარს თურმე სწველიდნენ დაკარწახებულნი და, თუ რამ ან იარაღი გააჩნდათ, ან ჯოხი და კომბალი, სულ ბინაზედ ყოფილიყო. შეიარაღებულებს, როგორც ამბობენ, უცემიათ სარქისა და მეცხვარეებისათვის, თქვენს ბატონებს იჯარის ფული ჰმართებთ და არ გვაძლევენო, აუფუტკნიათ ბინა და წასულან.

*** დიღომი: კალიამ გაგვიჭირა საქმე. დღეში სამასზე მეტი კაცი მუშაობს მის საჟლეტად. უფრო ბევრია მტკვრისკენ, ავჭალის მხარესა. მუშები ზოგი დიღმელებივე არიან, ზოგი კიდევ სხვა სოფლებიდამ. მუშებს პური ეძლევათ, თითოს დღეში სამ-სამი გირვანქა. ეძლევათ აგრეთვე ნავთი, რომლითაც სწვამენ გორაგორად ერთს ალაგას მოგროვებულ კალიას.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მაისის თვის 28 და 29 ახალ-სენაკში კრება ექნება სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს სასულიერო ოთხ კლასიან სასწავლებლის საქმეების გამო.

1 ივნისს ახალ-სენაკშივე კრება ექნებათ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ყველა ბლაღოჩინებს, რომელთაც უნდა მოილაპარაკონ და დაადგინონ, თუ როგორ აწარმოვონ ამ ეპარქიაში საეკლესიო წმინდა სანთლის საქმე. (გაზ. „მწყემსი“).

*** 18 ამ თთვისას ავჭალის ქუჩაზე ილია სარუხანოვს 50 მან. ღირებული ქალის და კაცის პალტოები მოჰპარეს გეურქა ლომუევმა და გაბიბო ზეინალ-ოღლიმ. დამნაშავენი შეიპყრეს; თავიანთი დანაშაული აღიარეს და სასამართლომ ამათ ოთხ ოთხი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. მონაპარი პალტოები პატრონს დაუბრუნდეს.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელის მეთაურის ბოლოში ასე უნდა ყოფილიყო: „ან არა სჯობს ნავთა ჯდომა, ანუ მენავეთა ბრძოლა“. და შემდეგ: „აბა ვნახოთ რა კეთილს ნაყოფს მოუტანს სომხთა კვირანდელი გამარჯვება?“

მეველე

სალიტერატურო ფონდისა დღემდე არის 217 მან. 40 კ. და არა 117 მან. 40 კ., როგორც გუშინდელ ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საგარეჯო** (ივრის ხეობა), 13 მაისს. ვინც ყოფილა და უნახავს ს. საგარეჯო, სადაც ათას კომლამდე მცხოვრები ითვლება და რომლის მდიდარ მინდვრით თითქმის სხვები სარგებლობენ, ის ნამდვილად ამას დაასკვნის, რომ აქ ძალიან ზარმაცი ხალხი უნდა სცხოვრობდეს, ან ყოველ საზოგადო საქმეში ერთობრივ გარჯას და მეთაურობას მოკლებული. აკი ასეც არის. წარმოიდგინეთ, მთელი სოფელი, ათასი სახლი თავის ეზო-ვენახებით გაშენებულია ორის ხევის კალთაზედ, სადაც, თითქმის ეტყობა, ეს ორი ხევი (თვალთ-ხევი და წიფლის ხევი), ოდესმე ერთად შეერთებული წყალდიდობას რამდენჯერმე დაუღუპნია. ამ ორივე ხევის ნაპირები გავაკებულია: არსად სიმაგრე, არსად გოდორ-ყურე, არსად ჯებირი, გარეჯელები თითქოს ცას შეჰყურებენ: „შენს ხელში ვართ, ვერც გაგიმკლავდებით, ვერც გაგიმაგრდებით; დაგვღუპავ— შენ იცი, არა და—კიდევ შენაო“. აკი ასეც მოგვივიდა. მთაში ხუთის დღის შეუწყვეტელმა ავდარმა მოზვირთა „თვალთ-ხევი“, რომელიც მთელის თავისის სიმძლავრით და ღრიალით მოაწვა სოფლის ამწვანებულს ვენახებს და შენობებს. აქ გული ვერ დამიდინჯებია, რომ დალაგებით ავსწერო ყველა ის უბედურება, რაც საგარეჯოში დატრიალდა? ღამით დაწყობილმა ნიაღვარმა დილის სამს საათზედ იჩინა თავი და გადმოეშო სოფელზედ: ადგილობრივ ინტელიგენციისა და მამასახლისის მეოხებით შეგროვდა ხალხი და იწყეს ქვა-მიყრილ ძეძვით ბაზრის (სოფლის უმეტესი ნაწილია) მაგრება. მაგრამ რა გამოვიდა! გულში ცეცხლი გვენთებოდათ, როცა ჰხედავდით, რომ ხალხით უმრავლესი უბანი მაგრდება და ამით უმცირესი იღუპება. სადაც ეცემოდა გაგიჟებული მთის ნაკადული და რაც წინ ხვდებოდა, დაუქცეველს და დაუნგრეველს არა სტოვებდა. სულ რამდენისამე საათის განმავლობაში იქ, სადაც მშვენიერი სახლ-კარი და ვენახები იყო გადაჭიმული, სამისა და ოთხის საჟენის სიმაღლეზედ ჩაჭამა და თითქოს განთქმული და განრისხებული ჩანჩქარიაო, ისე გადმოდიოდა მაღლიდამ ღრიალა ნიაღვარი. დააქცია და წაიღო ოცამდე სახლი, ამდენივე საბძელი, კალო და სხვა; გარიყა ამაზე მეტი ვენახები და წალეკა ეზოები. მთელის სოფლის ზარალი, რომ არ გადავაჭარბოთ 1500 თუმანზედ მეტია. დიდი სიკეთე უყო სოფლის უმეტეს ნაწილს ბ-ნ ნ. ავალიშვილის გოდორ-ყურემ და გავლებულმა ჯებირმა, რომელიც გააშენა ავალიშვილმა თავის წისქვილის დასაცველად, მაგრამ თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც ამ სიმაგრეს დაადგა. რა ეს, ისეთი მორები მოჰქონდა აზვირთებულს წყალს, რომ ხუთი უღელი ხარკამეჩი ვერ დასძრავდ; ასის წლის კაკლის და ალვის ხეები წამოაქცია ისე, როგორც თქვენ პატარა ბალღი წააქციოთ! სოფლის გაჭირება და შავი დღე მით უფრო დიდი იყო, რომ უბედურ გლეხთა ნახევარი კალიის ბეგარაზე იყო ყარაიაზში. კაცს საცოდაობით გული ეთუთქებოდა, როცა შვილის დედა ან ცოლი საცოდავად მოსთქვამდა, „შენ, შვილო, კალიას ებრძვი და რა იცი, რომ აქ ასის წლის ნაამაგარი ოჯახი დაგეღუპაო. ქრისტიანები ვინა ხართ, გვიშველეთ!“ შეჰკივლებდნენ ხოლმე უიმედოდ საბრალო დედაკაცნი. ძალიან დაზარალდნენ გლეხნი: ჩეკურაშვილები, ალექსაშვილები, აზარია დიაროვი, ჯავახიშვილები, ბელადაშვილები, მაკანტალას შვილების ვენახები, ცაკანა, ლაფერიშვილები, თვით ბ-ნი ნ. ავალიშვილი, დ. ი. ციციშვილი და სხვანი, და სხვანი.

ექ. მიქელაძე

—

**საჩხერე**, 16 მაისს. როგორც ერთს მივარდნილს ადგილს, საჩხერეს, დიდად უძნელდება წერილების მიღება-გაგზავნა; აგრეთვე დიდის გაჭირვებით მოსდით, ვინც იწერს, ჟურნალ-გაზეთს რამდენიმე ნომერი ერთად. ბევრი იკარგება კიდეც. ყველაზე უფრო საგრძნობელია დღეს ჩვენთვის სასწავლო ნივთების მოპოება, რაიცა იმდენად გასაჭირია, რომ იძულებული ვართ აქაურ მეწვრიმალეებისაგან ვიყიდოთ მამასისხლად—შაურიანი რვეული—ორ შაურად და ექვს შაურიანი წიგნი—ათ შაურად. საკითხავ წიგნებს ხომ სრულიად ვერა

---

თა შორის ბევრნი იყვნენ ფრანგები და გრიგორიანები (სომხები). სახლი, რომელშიაც მოათავსეს სასწავლებელი, წინად ეკუთვნოდა ფრანგების პატრებს; ესენი 1755 წელს თეიმურაზ მეფემ განდევნა საქართველოდგან, წაართვა სახლი და ეკკლესია და გადასცა სამთავისის არხიეპისკოპოზს კირილეს[4]).

საზოგადოება წინაპირველად გულგრილად დაჰხვდა საულიერო სასწავლებლის დაარსებას. 1817 წ. 1 ღვინობისთვიდგან 16 მაისამდე (1818 წ.) გორის ვრცელს მაზრაში ძლივს შეაგროვეს 27 მოწაფე სასულიერო წოდებისა. მიტროპოლიტი თეოფილაქტე სასტიკად სდევნიდა იმ სამღვდელოთა, რომელნიც შვილებს არ აძლევდნენ გორის სასულიერო სასწავლებელში. აი სია 1817—1818 წლების მოწაფეთა. სასულიერო წოდებისა:

ანანიევი გედეონ (13 წლ.), ღონღაძე ანტონ (15), მამუჩევი ნიკ. (10), პაპიტოვი გრიგ. (15), დიდებულიძე ზურაბ (13 წ.), ოქროპირიძე ანდრია (12), ოქოევი სოლომ. (13), ბარნაბოვი ანდრია (14), დადიანიძე ალექსი (14), დავიდოვი ფილიპე (16), კოშორიძე პეტრე (17), პროტოპოპოვი ზაქარია (12), ხუციევი ონისიმე (10 წ.), ბაღნიევი ფილიპე (15), გარსევანოვი სვიმონ (14), იოანიძე ყარამან (10 წლ.). ეპოდიევი პეტრე (10 წ.), ლაგიევი იოსებ (15 წ.), 20) ელიოზოვი ანდრია (17), ელიოზოვი გაბრიელ (12), კოლელოვი გიორგი (15), კიკნაძე იაკობ (17) ცერაძე გრიგოლი (6). კასრაძე ნიკოლოზ (7), ჯინჭარაძე ქაიხოსრო (9), კოლელოვი იოსებ (17).

სხვა წოდებისა:

1) ალხაზოვი ალხაზ (10), ალხაზოვი გრიგოლ (13), ალიხანოვი იოსებ (8), ალხაზოვი სოლომ. (8), ალხაზოვი ლაზარე (8), ბაბალოვი ფარსადან (9), ენდრონიკოვი იაკობ (13), თუმანოვი გრიგოლ (9), გავრილენკო პოლიევქტ (7), კანდელაკი სვიმონ (10), ზუბალოვი სვიმონ (9), თუმანოვი კონსტანტ. (7), ამიროვი სტეფანე (7), სააკოვი იაკობ (9), მამაცოვი იოსებ (9), ანანოვი დავით (13), მირზოვი ედიშერ (14), ამილახვარი გივი (10), ჯარაევი იაკობ (11), ნაზაროვი იოსებ (9), წერეთელი სამსონ (8) ქუთაისიდგან.

ამ მოწაფეთა შორის დიდი გარჩევა იყო წლოვანობაში (6—17) დანახევარზე მეტს თვალი სახლებისკენ ეჭირა. 1818—1825 წლებში ხშირი იყო მაგალითი მოწაფეთა შინ გაქცევისა. ამ შემთხვევაში, მიტროპოლიტის თეოფილაქტეს მოწერილობის ძალით, სასწავლებლის მთავრობას უნდა მოეთხოვა შემწეობა გორის ოლქის (ოკრუჟნი) უფროსისაგან. რა იყო მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა? ამის მიზეზს ჩვენ პირველად იმაში ვხედავთ, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივს ნიადაგზედ, არამედ უცხოეთიდგან იყო გადმოტანილი, გადმონერგილი; მეორეს მხრით, თვით სასწავლებლის გამგეთა ვერ შეითვისეს მოწაფენი, ვერ დაამკვიდრეს კავშირი თავისსა და მოწაფეთა შორის. ან რა გასამტყუნარნი იყვნენ მოწაფენი, როდესაც მასწავლებლები ფორმალურად ექცეოდნენ თავის წმინდა მოვალეობას და უფრო ხშირად ყოვლად შემძლებელს „როზგს“ მიმართამდნენ ხოლმე; გაკვეთილების ახსნით თავს არ იწუხებდნენ! აი, ჩვენის ფიქრით, ნამდვილი მიზეზი მოწაფეების სახლებში სირბილისა და არა: „ученики перестали ходить по необычайности и дикости нравовъ здѣшняго народа“[5]), როგორც უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ ზოგიერთნი. ბევრი დრო და მეცადინეობა უნდოდა, რომ ახალს სასწავლებელს მოეპოვებინა საზოგადოების ნდობა. როდესაც ზნეობრივი კავშირი ვერ დამყარდა სასწავლებელსა და მოწაფეთა შორის, რა თქმა უნდა, სხვა ღონის-ძიება იყო საჭირო ბავშვების მოსაჩვევლად. აი ამისთანა საშუალებად მიაჩნდათ სუბსიდიის მიცემა მოწაფეთათვის, რომელსაც არა ჰქონდა კარგი შედეგი, და ამიტომ ეს სუბსიდია სასულიერო მთავრობამ ამოჰკვეთა.

პირველ ხანში გაკვეთილები ასე იყო განაწილებული: სადილის წინად ასწავლიდნენ რუსულს, ნასადილევსკი—ქართულს. 1820 წ. გაიმართა „უეზდნი უჩილიშჩე, რომელიც 183[illegible] წელში გაიყო უფროს და უმცროს განყოფილებად. ამას შემდეგ შეერთებულს სასწავლებელში ოთხი კლასი გახდა. 1836 წლიდგან გორის სასულიერო სასწავლებელს მისცეს სამისიონერო სკოლის ხასიათი, რის გამოც შემოღებულ იქმნა თათრული და ოსური ენები, რომლებსაც აწავლიდნენ 1856 წლამდე. 1826 წ. გადააგდეს ბერძნული ენა, სამაგიეროდ შემოიღეს ლათინური. 1867 წ. ძირეულად შეიცვალა იმპერიაში რუსეთის ყველა სასულიერო სასწავლებლები; გორის სასწავლებელშიაც მოახდინეს ჯეროვანი ცვლილება. დაარსდა მართველობა

[4]) Грузин. церк. гудж. Д. Пурцеладзе, стр. 51. ქარ. ცხ., ქრონიკონები ნაწილი II, გვ. 257.

[5]) Акты кавказ. археогр. ком. т. I, стр-367.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვშოულობთ და, თუ ხანდახან გაგვიჩნდება ხოლმე, ისიც აქაურ მასწავლებლის ბ-ნ ყ. ჩხეიძის წყალობით, რომელიც ერთად-ერთი შეძლებისადაგვარად ცდილობდა და ცდილობს გაავრცელოს ხალხში წიგნები და მათის კითხვის სურვილი.

ახლა ესვე მასწავლებელი ჰმართავს საჩხერეში წიგნის მაღაზიას, რომელშიაც იქმნება, როგორც საკითხავი წიგნები, აგრეთვე სასწავლო ნივთებიც. ამაზე ნება-რთვა, საიდგანაც ჯერ არს, კიდეც მიიღო და სახლიც დაიქირავა.

ვისურვებ, მალე ამ მაღაზიასთან სამკითხველოც გაიმართოს, როგორც თვითონაც ფიქრობს. იმედია, ამ საქმეში შემწეობას აღმოუჩენს აქაური ინტელიგენცია და განსაკუთრებით მის სკოლაში კურს-დასრულებული ყმაწვილები.

ფ. ქავთარაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

6 (18 ს) მაისს პარიჟში გაიმართა კრება სტუდენტებისა. სტუდენტები ასეთს კრებას, რომელსაც ბანკეტს უძახიან, ყოველ წლივ მართავენ ხოლმე და ჩვეულებისამებრ მიიწვევენ ამ ბანკეტზედ გამოჩენილ მეცნიერთ, ლიტერატორებს და პოლიტიკოსებსაც-კი. ამასთანავე ვისიც მეტი პატივის ცემა აქვთ, თავმჯდომარედ აირჩევენ ხოლმე. წელს სტუდენტებმა თავმჯდომარედ ამოირჩიეს ცნობილი რომანისტი ემილ ზოლა. ზოლას ეს ძლიერ გაეხარდა და ბანკეტზედ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც საფრანგეთის თითქმის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა. მოგვყავს მოკლედ შინაარსი ამ სიტყვისა.

ბატონებო, სთქვა ზოლამ, ჩემი ბანკეტზედ თავმჯდომარედ ამორჩევა დიდად მიხარას. რომელი საზოგადოება სჯობია ახალგაზდობას? ვის შეუძლიან ადამიანის კეთილი სიტყვა ასეთის გულ-მოდგინებით მოისმინოს, როგორც ახალგაზდობას? ამიტომ მეც გულს გავიხსნით და გთხოვთ ჩემი გულ-წრფელი სიტყვა მოისმინოთ. საუბედუროდ, ეხლა ის ჟამი მიახლოვდება, როცა ადამიანი სწუხს. განვლო ჩემმა ახალგაზდობამ. ეხლა სხვები არიან ახალგაზდები, რომლებიც ჩვენ შრომას განიხილავენ და ასე თუ ისე დაათვასებენ. გულის მგერით ვკითხები ჩემს თავსა, ჩვენ მიერ წარმოთქმულ აზრიდგან რას უარჰყოფს ახალგაზდობა და რას შეიწყნარებს. ვშიშობ ამას იმიტომ, რომ მხოლოდ ახალგაზდობას შეუძლიან ასე თუ ისე დაამთავროს ჩვენ მიერ დაწყებული საქმე. სწორედ ამ მიზეზით გაფაციცებით ვადევნებ თვალ-ყურს ახალგაზდობის აზრსა და იდეებს, ვკითხულობ გაზეთებსა და ჟურნალებს და თვალ-ყურს ვადევნებ სკოლებს, მსურს შევიტყო, საით მიისწრაფვით თქვენ, დღევანდელი მოწაფენი, ხოლო ხვალინდელი მეცნიერნი და მოღვაწენი.

არ დავმალავ, ამ გრძნობას ურთდება ჩემი საკუთარი გრძნობაც, ჩემი ეგოიზმი. ეხლა ცოტათი ვგავარ იმ მუშაკს, რომელიც სახლის აგებას ათავებს და შიშობს, კაი თუ წვიმამ კედლები დაამშალოს, კაი თუ გრიგალმა სახურავი მოგლიჯოს და კაი თუ სახლის ასაგებად რიგიანი მასალა არ ვიხმარეო.

არ ვიტყვი, რომ ისეთს საქმეზედ ვფიქრობდე, რომელსაც უკუნისამდე ექმნება მნიშვნელობა. რაც უნდა დიდებული იყოს მოღვაწე, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მთელ კაცობრიობას სიცოცხლეში მხოლოდ ერთის წუთის მნიშვნელობა აქვს. ასეა ლიტერატურაც. თანდათან წარმატებაში შედის და ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ შესაძლებელია სხვა ახალი ლიტერატურა დაიბადოს და ჩვენი სახელი გაჰქრეს კიდეც. მართალია, ხანდახან ძლიერა ვჯავრობ, როცა ჩემს თხზულებასა ჰკიცხავენ, მაგრამ ამ გრძნობას ძლიერ ადვილად ვძლევ და ვფიქრობ, დაე, დავიღუპნეთ ჩვენც და ჩვენი თაობაც, დაე, ჩვენის გვამებით ხვრელი ავავსოთ, ოღონდ ჩვენს შემდგომ თაობას გაუადვილოთ სურვილის ასრულება.

შემდეგ ზოლამ ილაპარაკა შესახებ იმ ახალ მიმართულებისა, რომელიც დაიბადა ახლა ახალ თაობაშიო. ამბობენო, სთქვა ზოლამ, ვითომ ახალ-გაზდობას აღარა სწამს მეცნიერება, რადგანაც მეცნიერებამ ჩვენი იმედები არ გაამართლაო. თუმცა მე მეცნიერი არ ვარ, რომ ეს საქმე გავარჩიო და მეცნიერების დასაცველად ვილაპარაკო, მაგრამ არ ძალმიძს ჩემი ფიქრი და იმედები არ გაგიზიაროთ.

ამბობენო, სთქვა ზოლამ, ვითომ ახალთაობას სურს ყოველივე კავშირი მოსპოს ჩვენ თაობასთან; ვითომ თქვენ აღარა გწამთ მეცნიერება, რადგანაც მან თქვენი იმედები ვერ გაამართლა და ამიტომ გსურთ დაუბრუნდეთ ისევ ძველ რწმენას და დაჰბადოთ ახალი სარწმუნოება. ვცადეთ მეცნიერების ძალაო, ვითომ ამბობთ თქვენ, და დავრწმუნდით, რომ მეცნიერებას აღარ ძალუძს დაასახლოს ზეცა, რომელიც თითონვე დააცალიერა, და დაუბრუნოს ადამიანის სულს ის ბედნიერება, რომელიც წაართვა.

დიაღ, მართალია, ჩვენ გვეგონა, მეცნიერებამ ერთბაშად უნდა დაასროს ახალი ქვეყანა, სადაც გამეფდება სიმართლე და ბედნიერება, ველოდით ამას ოც წელს, ორმოცს, ასს... და, როცა ვნახეთ, სიმართლე არ გამეფდა, ბედნიერება არსად არის, მოთმინება გამოგველია, დარდმა შეგვიპყრო და ვსთქვით: არა, მეცნიერება ვერ მოგვანიჭებს ბედნიერებასაო.

ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ შრომით დავიღალეთ. ჩვენ ეხლა მგზავრსა ვგევართ, რომელსაც დიდი გზა აქვს გასავლელი. დაღლილნი, დაქანცულნი დავმჯდარვართ გზის პირას დასასვენებლად და გავცქერით მთებსა და მინდვრებს, რომელიც კიდევ წინა გვაქვს გასავლელი. ამ გასავლელ გზას რომ ხედავს, ზოგს იმედი უქარწყლდება და ნანობს, ნეტავი ისევ არ წამოვსულიყავ და მინდვრად დამემინა სამუდამოდაო. მართლაც, რად მივალთ წინ, თუ ჩვენი მიზანი ასე შორს არის? რად გვინდა ცოდნა, თუ ვერაოდეს ვერ გავიგებთ უმაღლესს, რის ცოდნაც გვსურსო? არა სჯობს, რომ ისევ ბავშვებად დავრჩეთ, არც არა-რა ვიცოდეთ, და არცა-რა რის ცოდნის სურვილმა შეგვაწუხოს. მართლაცდა, თუ არსად არის ისეთი ქვეყანა, სადაც სიმართლე მეფობდეს, სადაც ბოროტნი დაიტანჯებიან და კეთილნი გაიხარებენ, მაშ, როგორ განვლოთ ეს ტანჯვითა და მწუხარებით სავსე სიცოცხლე? ბუნება უსამართლო და მკაცრია; მეცნიერებაც, ეტყობა, უსამართლობას და ძალას უმართავს ხელსა. არა! არ გვინდა ეგ მეცნიერებაო, ამბობს ტანჯული კაცობრიობა; მო, თავი დავანებოთ ამ მუხთალს ქვეყანას, წუთისოფელს და მივმართოთ ისევ ცას, ისევ ძველს რწმენას, იქნება ამ რწმენამ მაინც მოგვანიჭოს ბედნიერება და მოგვიკლას წყურვილი მშვიდობისა და სიმართლისა.

შემდეგ ზოლამა სთქვა: ჩემის აზრით, ასეთი ჩვენი ყოფა მხოლოდ დაღლილობითა და დაქანცულობით აიხსნება. ჩვენდა საბედნიეროდ, მეცნიერება ჯერ სრულიად არ უარ-უყვიათ. ჩვენი ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები და სკოლები ჯერ არ დაცალიერებულა და იმედია, რომ არც მოხდება ასე.

ერთად ერთი ხსნა ამ სულის კვეთებისაგან შრომაა.

ამიტომ გირჩევთ, გთხოვთ, გემუდარებით, ასე დაასრულა სიტყვა ზოლამ, იმედს ნუ დაჰკარგავთ და იშრომეთ. იშრომეთ, ყმაწვილებო! ვიცი, რომ ახალს ამბავს არ გეუბნებით. ამასავე გეუბნებიან ყოველ დღე მასწავლებელნი მოწაფეთ. მაგრამ გავკადნიერდები და გეტყვით, რომ ჩემმა დიდის ხნისა და დაუღალავმა შრომამ დიდი სიტკბოება გამომაცდევინა. ძნელი იყო პირველი ჩემი შრომა. გამოვცადე დიდი სიღარიბე, ტანჯვა, ვაება. ხშირად მივცემივარ მაშინ უიმედობასაც-კი. შემდეგ ბრძოლაში გავატარე და ახლაც ასე გავატარებ ჩემს სიცოცხლეს. ბევრი წინააღმდეგობა გაუწევიათ ჩემთვის, ბევრი შეურაცხყოფა მინახავს და ახლაც ვხედავ. ჩემი ერთად ერთი ძალა და იმედი იყო და ეხლაც არის მხოლოდ მუდმივი შრომა. რამდენჯერ დავსუსტებულვარ და ღონე-მიხდილი უიმედობას მივცემივარ, მაგრამ ყველა ამ სიავის წინაშე ქედი არ მომიხრია და ისევ იმ შრომას წამოუყენებივარ ფეხზედ.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ არაოდეს არ მომწონდა ოცნება. ოცნებასთანა ცუდი არა-რა არის კაცისთვის. ერს ეუბნებიან ხოლმე: ცას შეჰყურეთ, გრწამდეთ უზენაესი ძალა, იდეალებით გული გაიმსჭვალეთო. არა, ასეთი რჩევა სრულიად უსაფუძვლოა. მხოლოდ ის ერია მძლავრი, რომელიც შრომობს, მხოლოდ შრომა აძლევს ერს ძალასა და სიმხნევეს.

მაშასადამე, იშრომეთ ყმაწვილებო! ამოირჩიეთ ყველამ ისეთი საქმე, რომელიც მოგწონთ და ეცადეთ, ეს საქმე კეთილად შეასრულოთ. რაც უნდა მცირე იყოს თქვენი საქმე, მაინც სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. მერე რა საღი და მძლავრი საზოგადოება დაიბადება მაშინ! ადამიანი, რომელიც შრომობს, მუდამ პატიოსანია. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ შრომაა მხსნელი ტანჯულ კაცობრიობისა.

გაზეთი Figaro სწერს, რომ სტუდენტებს დიდად მოეწონათ ზოლას სიტყვა და თვით ზოლაც დიდი კმაყოფილი დარჩა სტუდენტების პატივცემითაო.

## წვრილი ამბავი

ევროპასა და ამერიკის შუა მისვლა-მოსვლა თან-და-თან ადვილდება. ეხლა ინგლის'ში ამზადებენ ერთს უზარმაზარს გემს, რომელიც საგრძით 100 საჟენია და საგანით 9 საჟენი. ეს გემი ისე სწრაფად ივლის თურმე, რომ ოთხ დღეში მივა ინგლისიდგან ამერიკას.

— საფრანგეთის გამოჩენილმა ზოოლოგმა ალბერ გოდრიმ ამ ცოტა ხანში წარუდგინა პარიჟის სამეცნიერო აკადემიას დაწვრილებითი ცნობები იმ უზარმაზარ ვეშაპის სკელეტისა, რომელიც მას წინად იპოვნეს სენ კოლომბში და ეხლა პარიჟის მუზეუმშია. როგორც მეცნიერები მოწმობენ, ამოდენა ვეშაპი ჯერ არსად ყოფილა თურმე.

— იმის გასაგებად, თუ რომელი მწერალი უფრო მოსწონთ ფრანგებს, გაზეთ „le Journal“-ს დაურიგებია ყველა საფრანგეთის რედაქციებში 1,200 ბლანკი, რომელზედაც უნდა დაეწერათ სახელები იმ მწერალთა, რომლებიც უფრო მოსწონთ. ამ ქაღალდებიდგან სჩანს, რომ პირველი ადგილი ხალხის გულში უჭირავს ამ ჟამად ზოლას. 1200 ბლანკზედ 1193 ხმა იყო ზოლას სასარგებლოდ. შემდეგ, ტენი (774 ხმა) დოდე (718). გონკურის, მოპასონის, ლეკონტ დე ლილის და რიშპენს ექვსას ექვსასი ხმა ხვდათ, დიუმას, როშფორს, ვაკრის, ბურჟესა და სიულლი-პრიუდომს 500 ზედ მეტი. ამათზედ მცირე ხმა ჰხვდათ თურმე: სამოხს, კლარეტის, სარდუს, ვენს, მეილაკს. უკანასკნელი ადგილი ბორნეს უჭირავს თურმე.

(პრავლენიე), რომელშიაც ზედამხედველის და ინსპექტორის გარდა დაინიშნა ორი წევრი სამღდელოების მხრით და ერთიც მასწავლებლისაგან. ლათინურმა, მიროპოლსკის რევიზიის შემდეგ (1883 წ.), დაუთმო ადგილი ისევ ბერძნულს, და ქართული ენაც სავალდებულოდ დაიდვა. 1872 წელს გორის მაზრის სამღვდელოებამ შეიგნო საპიროება მოსამზადებელის კლასისა და გახსნა ერთი მოსამზადებელი კლასი, რომელსაც შემდეგ ორი სხვა მიუმატეს.

რა თქმა უნდა, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში პირველად სწავლის საქმე ვერ მიდიოდა რიგიანად. მასწავლებლები ძალიან ხშირად იცვლებოდნენ ხოლმე; რაკი კარგი „პრიხოდი“ დაიცლებოდა, მასწავლებელი მაშინათვე თავს ანებებდა სასწავლებელს და იცვამდა ანაფორას. განსაკუთრებით ძალიან კოჭლობდა რუსული ენა. ამ უმთავრესის საგნის კარგად სწავლებისათვის მთავრობამ დაიწყო მოწვევა სემინარიაში კურს-შესრულებულთა, რუსეთიდგან, მაგრამ მთავრობის კეთილს განძრახვას სასურველი ნაყოფი ვერ მოჰქონდა, რადგანაც ძალიან ხშირად რუსეთის სემენარიებიდგან მოდიოდნენ მხოლოდ დიდის ჯამაგირებისა და პრაგონებისათვის, ან კიდევ „по разстроенному здоровью“. დიდად აბრკოლებდა აგრეთვე სწავლის კარგად წარმართვას რიგიანის სახლის უქონლობა, უფულობა და ქონების მხრით შევიწროებული მდგომარეობა. მხოლოდ 1837-დგან დაიწყეს ზამთრობით კლასების გათბობა. 1843 წელს სინოდის კანტორამ შეიძინა სამხედრო უწყებისაგან დიდ ქუჩაზედ სახლი, რომელშიაც მოათავსა სასულიერო სასწავლებელი.

ამის შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელი თანდითან წარმატებაში შედის. პირველ ხანებში გორის სასულიერო სასწავლებელს ჰქონდა საზოგადო ხასიათი: ერთსა და იმავე დროს იყო სასულიეროც, სამოქალაქოც და საოსტატოც. გორის სასწავლებლის წარმატება ცოტათი შეაფერხა ცეცხლმა, რომელმაც იმსხვერპლა სასწავლებლის თითქმის მთელი წიგნთ-საცავი. 1889 წელს გორის მაზრის სამღვდელოების საფასით სასწავლებლის მართველობამ ააშენა მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი, იმპერატორ ალექსანდრე III-ს მიერ ნაჩუქებს ადგილზედ. სასწავლებლის ეკკლესია აკურთხა ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ღირსისა მამისა გიორგი მთაწმინდელის სახელობაზედ. 1889 წ. სასწავლებელში ითვლებოდა 294 მოწაფე. ამით ვათავებთ ჩვენს მცირე შენიშვნას.

სამოც-და-თხუთმეტი წელიწადი ემსახურებოდა გორის სასულიერო სასწავლებელი გორის მაზრას და განსაკუთრებით მაზრის სამღვდელოებას. რამდენი თაობა აღუზრდია ამ სასწავლებელს, რამდენი პატიოსანი მუშაკი შეუძენია მას ჩვენის სამშობლოსთვის! ყველას დასახელება შორს წაგვიყვანს; დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე: 1) კონსტანტინე მამაცაშვილი (1828—1829 სიებშია მოხსენებული); 2) ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე (ალექსი ოქროპირიძე 7 ენკენისთვეში 1834 წ. მიუღიათ და 1837 წ. მისსავე ძმას, გიორგის, სემენარიის მოწაფეს, გადუყვანია ტფილისის სასულიერო სასწავლებელში); 3) გერონტი ეპისკოპოსი (გრიგოლ პაპიტაშვილი); 4) იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი (პედაგოგი); 5) დანიელ ჭონქაძე (ბელეტრისტი); 6) ნიკოლოზ ლომაური (ბელეტრისტი); 7) ნიკოლოზ ხიზანაშვილი (ურბნელი); 8) სოფრონ მგალობლიშვილი (გუმსაძე); 9) არხიმანდრიტი ამბროსი (ალექ. კავკასიძე); 10) ნიკოლოზ გაბრიელის ძე ტატიშვილი, II, იოსებ ბაქრაძე და მრავალნი სხვანი, რომელთაც დაუმთავრებიათ სწავლა საშუალ და უმაღლესს სასწავლებლებში და დიდის პატივისცემით იხსენიებენ თავიანთ alma mater-სა.

სასურველია, რომ გორის მაზრის სამღვდელოებამ აღნიშნოს რითიმე ეს შესანიშნავი დღე. სხვა სასულიერო სასწავლებლებს ზოგს ძმობა აქვს დაარსებული ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, ზოგს — სტიპენდიები, ზოგს კარგად მოწყობილი პანსიონები და სხვა. მაგალითი უხვის შეწირულობისა უჩვენა გორის სამღვდელოებას ყოვლად სამღვდელომ ეპისკოპოზმა ალექსანდრემ, რომელიც მთელს საქართველოში ცნობილია, როგორც უხვი გამღები შეწირულობისა. მათმა მეუფებამ დააარსა გორის სასულიერო სასწავლებელში ეკკლესიის კურთხევის დროს ერთი სტიპენდია გორის მაზრის სამღვდელოთა ობოლთათვის.

გ. საძაგლოვი-ივერიელი

ტფილისი 16 მაისი

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის, ისე მოსწავლეების და საზოგადოების მხრითაც, ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზს მამ: გრიგოლ მაჭარაშვილს, რომელმაც ახლად დაარსებულს ალის სამრევლო სკოლას შემოსწირა ხუთი თუმანი (50 მან.) და ს. ალში მცხოვრებს დავით ივანეს ძე ჯანუყვს, რომელმაც ორის წლის ვადით დაუთმო უსასყიდლოდ სკოლას თავის ორსართულიანის შენობის ერთი ოთახი ქვემო სართულში.

ალის სკოლის მასწავ. სფირიდონ მთვარელიშვილი

სოფ. ალი.

---

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,72 | 7 3/4 | — „ |
| ტრამოყნის კუპონები . | 154 | 155 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1,06 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 245 |
| —მეორისა . . . | — „ | — „ | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99 3/8 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | 101 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 100 1/4 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 97 |


## განცხადებანი

რკინის გზის სადგურ

**ქარელის ახლოს,**

გორის მაზრაში, არის მადნის წყლები, რომელსაც ეწოდება

**ხვედურეთის აბანო.**

აბანო კარგად არის მოწყობილი. გამართულია ოთახებიცა. საბანებლად მოსულთ თავიანთი საცვლები უნდა ჰქონდეთ ლოგინისათვის. სადგურიდამ აბანომდე მისვლა-მოსვლა ყოველთვის ადვილად შესაძლოა. დაწვრილებით ყოველ გარემოების გასაგებად მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ იჯარადარს თ. კონსტანტინე ნოდარის ძეს ციციშვილს. სადგ. ქარელში.

(3—1)

## მოზრძანდით

**კახეთის ბაღში, ჯვართან, ვერაზე**

საუცხოვო ჰაერი, ბესედკები ვერის წყალზე, საუკეთესო ევროპიული და ქართული საჭმლები; **მუდამ ცოცხალი თევზი**; ბუფეტში იპოვება ყველა ნაირი სასმელი და ღვინოები: ჭავჭავაძისა, ანდრონიკაშვილებისა, შერემეტიევისა და სხვა. ბოთლი 30 კაპ. და მეტიც.

შეიძლება სადილისა და ვახშმის შეკვეთა. საოჯახო წვეულებისთვის ბაღში გამართულია ზალა და ცალკე ოთახები.

**ყველაფრის ფასი ზომიერია**

ბუფეტის პატრონი ნ. ჩიკვაიძე


# ბ ა ლ ა ნ ს ი

### ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1893 წლისა

#### ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული. . . . . . | 35,779 | 38 | | |
| სარგებლიან ფურცლებით . . . . | 81,000 | — | 116,779 | 38 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 12,799 | 33 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში. . | 338 | 06 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . | 62,620 | 05 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან . . . | 193,020 | 20 | 268,777 | 64 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. . . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად გამოცემულ გირაოს ფურცლებისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 203,182 | 97 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა დ კუპონთა (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . (71,300) | 67,654 | 12 | | |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| ა) ქუთაისის ბანკ. სასაკუთრონი . . . (76,200) | 74,717 | 60 | | |
| ბ) სათადარიგო თანხაში ჩარიცხული . . . (4,500) | 4,429 | 60 | 396,748 | 09 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1893 წლისა . . . . . | — | — | 1,645 | 55 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი . | — | — | 87,700 | „ |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე. | 1.463,700 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზედ . . | 1.864,300 | — | 3.328,000 | „ |
| გ) მოკლე ვადიანი სესხნი . . | — | — | 140,090 | „ |
| მსესხებ. ა) შელ. გად. { დიდ ვად. სესხ. | 151,669 | 11 | | |
| { მოკ. ვად. სესხ. | 6,412 | 98 | | |
| ბ) ვადა გას. . . { დიდ ვად. სესხ. | 93,892 | 95 | | |
| { მც. ვად. სესხ. | 4,481 | 44 | | |
| ჯარიმა . . . . . . | 7,855 | 40 | 264,311 | 88 |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები. | — | — | 3,479 | „ |
| სვა-და-სხვა დებიტორები . . | — | — | 1,105 | 25 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . | — | — | 116,554 | 03 |
| დასაბრუნებელი ხარჯები: ბანკის მოწყობა-მორთულობაზედ . . | — | — | 1,598 | 47 |
| არა-ჩვეულობრივი . . . | — | — | 3,847 | 23 |
| გერბის გარდასახადი . . . | — | — | 339 | „ |
| ტალონები გირავნობის ფურცელთა . | — | — | 240,000 | „ |
| კუპონების ფურცლები ოცის წლის გირავნობისა . . . . . | — | — | 17,739 | „ |
| საკომისიოდ მიღებულნი გირ. ფურცელნი . . . . | — | — | 40,050 | „ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | — | — | 5.028,794 | 52 |

#### პ ა ს ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . . | — | — | 564,230 | 68 |
| სათადარიგო თანხმა . . . | — | — | 72,138 | 99 |
| გირაოს ფურც. გამ. { 48 8/12 წ. . . | 27,500 | „ | | |
| { 18 11/12 წ. . . | 60,200 | „ | 87,700 | „ |
| გირ. ფურც. გაცემულნი . . . . { 43 1/2 წ. . | 1.210,700 | „ | | |
| { 48 8/12 წ. . | 253,000 | „ | | |
| { 18 7/12 წ. . | 1.433,700 | „ | | |
| { 19 11/12 წ. . | 430,600 | „ | 3.328,000 | „ |
| თან. სესხ. მოსასპობლად . . . . . { 43 1/2 წ. . | 6,196 | 71 | | |
| { 48 8/12 წ. . | 788 | 61 | | |
| { 18 7/12 წ. . | 53,757 | 16 | | |
| { 19 11/12 წ. . | 8,702 | 74 | 69,445 | 22 |
| თანხა სარგებლისა: { 6%-იან სესხი . | 79,332 | „ | | |
| { 5%-იანისა. . | 17,090 | „ | 96,422 | „ |
| მომავალი გადასახადი . . . | — | — | 48 | 15 |
| ფული გადადებული, საზღვეველად: ა) გირაოს, ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . | 190,700 | „ | | |
| ბ) გირავნ. ფურც. კუპონები . . { 2 იანვრის 1893 წლის ვადისა, 100632 — 50 წინანდელის ვადებისა . 1941 | 102,573 | 50 | 293,273 | 50 |
| ვადმდე გამსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ვადამდე გარდახდა ნაღდის ფულით . { 43 1/2 წ. . | 9,113 | 42 | | |
| { 18 7/12 წ. . | 102,465 | 91 | 111,579 | 33 |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 6,884 | 02 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა . . . | 20,387 | 50 | 27,271 | 52 |
| გადამავალი ჯამი . . . . | — | — | 4,438 | 79 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . | 22,500 | „ | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 58,500 | „ | 81,000 | „ |
| 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისაგან . . . . . | — | — | 71 | 10 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . . | — | — | 3,474 | 34 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი . . . . . | — | — | 47 | 64 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები. | — | — | 17,739 | „ |
| გასაბათილებელი ძველი ტალონები გირავნობის ფურცელთა . . | — | — | 240,000 | „ |
| წმინდა მოგება 1892 წლისა . . . | — | — | 31,914 | „ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | — | — | 5.028,794 | 52 |

Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Мая 8913 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.